№ 88. 27 აპრილი, კვირა. 1866—1880 27 აპრილი, კვირა. № 88.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**
მ...ენის მეიდანზე, შუასახლის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**
მიიღება „დროების“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მკითხველებისთვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე | „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| | „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

საზაფხულო თეატრში

**სამშაბათს, 29 აპრილს**

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება:

**მზის დაბნელება**

**საქართველოში**

კომედ. სამს მოქმედ. ზ. ანტონოვისა

ბილეთები ისყიდება აზნაუროვის მაღაზიაში და თეატრის კასაში

**დასაწყისი 8 საათზე**

## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი, 25 აპრილს.** „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ სახალხო განათლების მინისტრი და სინოდის ობერ-პროკურორი ორივე ამ თანამდებობიდამ დათხოვნილია, თავის სურვილისამებრ. სენატორი პობედონოსცევი დანიშნულია სინოდის ობერ-პროკურორად და დერპტის სასწავლებლო მაზრის მზრუნველი (პოპეჩიტელი) საბუროვი სახალხო განათლების სამინისტროს გამგებლად.

## მთქმელს გამგონი ეჭირება.

ტფილისი, 26 აპრილს.

ბუშინდელ „დროების“ წინა სტატიაში ერთი უბრალო აზრი გამოვთქვით, ერთს საშუალებაზე მივათითეთ, რომელიც, ჩვენის აზრით, სხვათა შორის გააადვილებდა კალიის გაწყვეტასა და და იმისაგან მოსალოდნელ ზიანს.

ჩვენ ვთქვით კარგი იქნებაო, რომ კალიის გაწყვეტისა და შიმშილის საქმე ერთს რომელსამე ძლიერ უფლებას მიანდონ, „სანდო, უანგარო, გამჭრიახე და ენერგიულს პირს, საქმის გამკეთებელს და არა ქაღალდების მწერალ-მჩხრეკელს.

ვთქვით საჭიროა ერთი ისეთი უფლება, რომელიც ჰმართავდეს და ერთის განზრახვით აერთებდეს ახლანდელს მომუშავე ძალას, რომელიც (ძალა), გაფანტული ამაოდ და უბრალოდ იღვწის ოთხს გუბერნიაში.

ვთქვით, რომ ეს ძალა, ამ უფლებით აღჭურვილი პირი დანიშნული იყოს მხოლოთ კალიის გასაწყვეტად, მხოლოთ იმისთვის, რომ ხალხი და ჯარი ყველა ერთ გზაზე დააყენოს, ერთის ღონის-ძიებით ამუშაოს, ერთგვარათ მიაწვეს ყველა საშუალებით ამ ჩვენ დამღუპველ მტრის ამოსაჟლეტად.

როგორც ვეტლანკის ჭირის დროს ამ გვარის უფლებით აღჭურვილმა გრ. ლორის-მელიქოვმა მოიტანა სარგებლობა და მოერია ჭირს, ისე შეიძლება ჩვენი ქვეყანაც დავიცვათ კალიისაგანაო, ვთქვით.

ეს ვთქვით და ახლა თქვენ გკითხავთ—რა არის ამ აზრში ისეთი, რომ ჭკუა-მთელი კაცი შეძრწუნდეს და აღელდეს?

ჩახედეთ დღევანდელ „ობზორში“ და თქვენ ნახავთ, რომ ეს მარტივი აზრი კი არ ყოფილა, არამედ ერთი რაღაც საშინელი ხეპრული, კატკოვური და დიქტატურის მომწვევი აზრი ყოფილა!

ოთხი საჟენი სტატია დაუწერია ბატ. ნიკოლაძეს ამ აზრის საშინელებაზედ და, ღმერთო ჩემო, რაები არ ჩაურთავს შიგ! კატკოვები არიან „დროების“ მწერლები, დიქტატურას თხოულობენ ისინი, კანონებიც არ იციანო, გზაც დაბნევიათ, კალიის გასამართლებას თხოულობენ, წვიმაც და ქარიც უნდათ სამართალში მისცენო, როგორც გამავრცელებლები კალიისაო, „დროების“ თანამშრომელებს ყურის-მგდებელი, ზედამხედველი ეჭირებათო, თორემ ნამდვილ კატკოვებად შეიქმნებიანო და სხვა სულ ამ გვარი, სულ ისეთი ლაზათიანი სიტყვები, როგორსაც ჩვეული ვართ ნიკოლაძის მახვილ-გონიერებისა და კალმისაგან...

შეშინებულმა ძაღლმა ცხრა თვეს მთვარეს უყეფაო,—ეს ანდაზა მოგვაგონდა ჩვენ, როდესაც ბატ. ნიკოლაძის რახა-რუხი წავიკითხეთ.

სადაური დიქტატურა, რომელი კატკოვი! აზრი გამოვთქვით: ღობეყორეს ედებიან; ერთი ერთს სახსარს ხმარობს კალიის ამოსაჟლეტათ, მეორე მეორეს; ერთი ღორებისაგან მოელის შველას, მეორე განგებისაგან; ერთი მთისკენ იხედება, მეორე ველისაკენ.—საჭიროა ერთს მხნე, გამჭრიახე კაცს მიანდოთ ეს საქმე, რომელმანც ყველგან ერთნაირად იმოქმედოს და ხალხი და ჯარი ამოქმედოს და სხვ.

ეს იყო ნათქვამი. და კატკოვს, დიქტატურას, თუ ღმერთი გრწამთ, ერთი მითხარით—აქ რა ხელი აქვს?

ჩვენს მმართებლობას უიმისოთაც დიდი ძალა და უფლება აქვსო. ვინ თქვა ამის წინააღმდეგი? ვინ თქვა: ეს უფლება ცოტაა; მიუმატეთ კიდევა უფლებაო? ვინც დაწერილის წაკითხვა იცის და ვისაც ჰსურს გაგება, ის კარგათ გაიგებდა იმ ჩვენს აზრს, რომ ეს უფლება გაფანტულია, ოთხი გუბერნიის ადმინისტრაცია ცალ-ცალკე მოქმედებენ, საჭიროა ერთად, ერთის პირის ხელმძღვანელობით იმოქმედონ კალიის და შიმშილის წინააღმდეგ, და არა სხვა რასმეში მეთქი! ნუ თუ ეს ცხადი არ არის? ნუ თუ ნიკოლაძის მეტი, სხვა ვინმე დარჩება ჩვენს მკითხველებში, რომ ეს აზრი იმასაც უკუღმართად გაეგოს?

ვიმეორებთ, ეს ისეთი ცხადი და უბრალო აზრია, რომ, უეჭველია, ყველამ, ვისაც ჰსურდა გაგება, ისე გაიგო, როგორც ჩვენ გვინდოდა, რომ ყოფილიყო გაგებული. მხოლოდ ნიკოლაძეს არ უნდოდა გაგება, არ გაიგო და თავის ჩვეულებრივი ხრიკებით აღიჭურვა.

მაგრამ ყველაზე სასაცილო ის არის, რომ „ობზორი“ და იმის პატრონი ნიკოლაძე კატკოვობას ჩვენ გვწამებს! ნიკოლაძე გვწამებს ჩვენ კატკოვობას, ნიკოლაძე, რომელიც იდეალური და საყვარელი მწერალია თფილისელ კატკოვებისათვის, რომელსაც ასე თანაუგრძნობენ აქაური ინტენდანტსტვის ჩინოვნიკები და საზოგადოთ ყველა ჩამოსულები; რომელსაც ზოგიერთ ამ გვარ პირებისაგან მიუღია თანაგრძნობის ადრესი; რომელიც სმოლენსკიდამ ჩამოსულის მუშებისგანაც კი ისეთს ალტაცებაში მოდის, რომ მდუღარე ცრემლებსა ღვრის; რომელმაც ამ თფილისელ კატკოვებს

---

## ფელეტონი

—

### მუშებს

მუშებო, თქვენი მარჯვენა
იკურთხოს ოფლით ნაბანი!
მიწაა თქვენი ლოგინი
და ლაჟვარდი ცა საბანი!

—

უდროვოთ გცივათ და გცხელათ,
ბევრჯელაც რჩებით მშიერი;
მაგრამ ყველაფერს აიტანს
თქვენი ბუნება ძლიერი!

—

მიმხვდარი არის ეგ თქვენი
შეუბღალავი გონება
რომ პირუტყვსავით არ შვენის
შრომელ კაცს სხვისი მონება!

—

მაგრამ ჭირს ჰფარავთ საოცრად
და დახვალთ უსაყვედუროთ!

არ გინდათ, რომ სხვამ შეგნიშნოსთ
და გითხრასთ: „თქვე უბედურო!“

—

მაგ-გვარი ამპარტავნება
ძლიერებაა სულისა,
დიდება კაცად-კაცადის,
დამატკბობელი გულისა.

—

იმ უკვდავების წყაროთი,
რომელსაც ჰქვიან იმედი
და რომლის მოლოდინშია
კაცს ვერ ერევა შავ-ბედი!

—

დიახ!.. იმედი გირჩევსთ თქვენ,
ჯერ გქონდესთ მოთმინებაო
და როს საეროთ თანსწორით
სურვილი აღიზნებაო,

—

. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .

ნუ გამოილევთ მაგ იმედს,
ეგ იყოს თქვენი საგანი...
მუშებო! თქვენი მარჯვენა
იკურთხოს ოფლით ნაბანი!..

აკაკი.

### უახლესი ლექსთა კონა

**ა**—პირველი ასოა ანბანისა, მაგრამ ძალიან დაჩაგრული. მასადიდებლად ვაჭრები ზედ პატივს უსმენ და ნიშნავს ფრიად სასარგებლო რასმე—ერთ თუმანს.

**აბანო**—ორ გვარია, ხალხისა და ვირისა. განსხვავება ის არის, რომ პირველითგან მეორეში ხშირად შედიან, მაგრამ მეორითგან პირველში ჯერ არ გაგონილა.

**აბეზარი**—ფრიად სანატრელი კაცი.

**აბზიორი**—სულ სხვა სიტყვაა და არა აბეზარი. რუსული გაზეთი, ნიკოლაძის მღელვარებათა გამომთქმელი.

**აგდება**—ბურთისა შეიძლება, კაცისა კი მასხარად ანუ სასაცილოდ.

**ადამიანი**—ისეთი რამ არის, რომელსაც ძველად ბატონები კარგ ფასათა ჰყიდდნენ; ახლა ყოველი კაცი ჰყიდის ორ გროშათ. ამისი ფასი იცის ყოველმა ამხანაგმა, მსურველთ შეუძლიანთ ადვოკატებთან მოიკითხონ.

**აზარფეშა**—იარაღი მხიარულებისა.

**აექსიონი**—ავტორი, მწერალი—კაცი უანგარიშოთ გამფუჭებელი ქაღალდისა, მელნისა და კალმისა; ფრიად მეტი ჩანჩალა რომ არის ჩვენში, მეტადრე ამ სიძვირეში.

**აკაკი**—აკაცი-ხე, რომელმაც გაზაფხულობით იცის აყვავილება სუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ასიამოვნოს, ყველა პატიოსან და გონიერ თავის მიწის-შვილებს შეაძულა და მოაბეზრა თავი და სხვ. და სხვ.

ამისთანა გაზეთი და ამისთანა კაცი გვწამებს ჩვენ ქატკოვობას,—მოდი და ნუ გაიცინებენ თვით კედლები, მოდი ნუ იტყვი: „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო.“

## ბ. ზახაროვის პასუხზედ.

გაზეთ „კავკაზის“ 108 №-ში დაიბეჭდა საოსტატო ინსტიტუტის დირექტორის ბ. ზახაროვის პასუხი ამავე სასწავლებლის შაგირდის ლოლობერიძის სიკვდილის შესახებ ჩემს წერილზედ („დროება № 82), რომელშიაც სცდილობს „ალადგინოს“ (როგორც ის ამბობს) თავის სიმართლე. თუ რამდენად „ალადგინა“ ზახაროვმა სიმართლე და ამ ვითომც აღდგენისათვის რა ლობე-ყორეს მოედო და რა ხრიკები და ტყუილები იხმარა მასალათ, ამას მკითხველი ქვემოთ დაინახავს.

ბ. ზახაროვი ამბობს:

„ამ ცნობაში („დროება, № 82) მართალია მარტო ის, რომ ლოლობერიძის ავათ-მყოფობა 12 აპრილამდინ არავის გაუგონია; 12 აპრილსაც კი გაკვეთილებზედ რომ დაკლება არ უნდოდა, იყო კლასში; მაგრამ აქ შეუძლოთ გახდა და მასწავლებლის და ამხანაგების ჩაგონებით წავიდა და დაწვა ავათ-მყოფების მისაღებ ოთახში.“

აბა აქ რა თქვა ბ. ზახაროვმა ისეთი, რაც არ იყო „დროებაში,“ და ან რა გაასწორა?—მარტო ერთი ტყუილი ჩაუმატა: 12 აპრილს ლოლობერიძე არც კლასში ყოფილა და არცა ვის მასწავლებელს იმისთვის არა ურჩევია რა; ყველა მის ამხანაგებმა იციან, რომ განსვენებული 12 აპრილს დილითვე თავის-თავს ცოტა ცუდათა ჰგრძნობდა და საწოლ ოთახში დარჩა.

შემდეგ ამბობს:

„ინსტიტუტში საავათ-მყოფო არ არის („დროებაში“ კი ეწერა: განსვენებული საავათ-მყოფოში დაწვაო); არის მხოლოთ პატარა ოთახი, სადაც მიდიან ახალი ავათ-მყოფები, რათა მიიღონ დოქტორისაგან დარიგება და პირველი შემწეობა. სერიოზულ შემთხვევებში კი ავათ-მყოფები დოქტორის განკარგულებით იგზავნებიან საავათ-მყოფოში.“

თუ ეს ნამდვილი საავათ-მყოფო არ არის და მხოლოთ მსუბუქი ავათმყოფების მისაღები ოთახია, მაშ რათ წვანან შიგ მუდამ წელიწადს და თვით ამ წელსაც შაგირდები ოროლ თვეობით და მეტით? „სერიოზულ შემთხვევებში საქალაქო საავათ-მყოფოში იგზავნებიანო.“ მაშ ის რაღა იყო, რომ შარშან ერთი პირველი კლასის შაგირდი ძრიელ შეწუხდა და ერთმა მასწავლებელთაგანმა ბ. ცისკაროვმა გაუგზავნა კაცი დირექტორს, რომ შაგირდი საქალაქო საავათ-მყოფოში გაეგზავნა და იმან კი აი რა შემოუთვალა: „ჩვენ სამავისო ფული არა გვაქო;“ მერე ხსენებულმა ოსტატმა თავის ხარჯზედ გაგზავნა...

„საზოგადოთ ავათ-მყოფი, განაგრძობს ზახაროვი, დილით 12 აპრილს ჰგრძნობდა მსუბუქს ავათ-მყოფობას, რომელიც სჩანს იქიდან, რომ მოსულმა ამ დღეს ექიმმა ვერა ნახა ის მისაღებ ოთახში: ლოლობერიძე ჰგრძნობდა თავის-თავს იქამდის კარგათ, რომ არც კი დარჩა იქ.“

ჯერ ერთი რომ თორმეტ აპრილს დილით (არც საღამოთი) დოქტორი არა ყოფილა „მისაღებ ოთახში,“ ამას დაამტკიცებენ იმ ოთახში მყოფნი ათამდინ შაგირდები, იქნება იყო დოქტორი, ბ. ზახაროვი ნახა და ისევ შინ წავიდა; ეს სხვა არის; ეს რომ ეთქვა ზახაროვს, დასაჯერი იყო, იმიტომ რომ ამისთანა შემთხვევები ახალი ამბავი არ არის ინსტიტუტში. მეორე კიდევ; ლოლობერიძე დილით კარგათ კი არ იყო და ფეხზედ კი არ დადიოდა, საწოლ ოთახში იწვა და იქნება მერეც არ წავიდოდა „მისაღებ“ ოთახში, რომ დირექტორის ცოლს არ გამოეცა ბრძანება.

„ცამეტ აპრილს, ამბობს შემდეგ ბ. ზახაროვი, დილიდამ დაწყობილი, ვიდრე დოქტორის მოსვლამდის (საღამოს შვიდ საათზედ), ფერშალი იყო ავათ-მყოფთან და მოჰშორდა მხოლოდ პურის საჭმელათ ცოტა ხნობით... ავათ-მყოფის მოვლას ბევრნი ხედავდნენ, მათ შორის ერთი მისი ახლო ნათესავიც. მაგრამ არც ერთს მაყურებელთაგანს, მათ შორის არც ნათესავს არ მოსვლიათ მისს სიკვდილზედ ფიქრი: ყველანი ჰხედავდნენ მისს ავათ-მყოფობაში—უბრალო ციებას.“

ჰხედავთ ამ ხრიკებს? ერთს ტყუილს აზრს წარმოსთქვამს და მერე მოჰყვება იქიდამ დასკვნისა და შედეგების გამოყვანას... ამაზედ ის დაეთანხმება ბ. ზახაროვს, ვინც არ იცის შემდეგი: დილით 13 აპრილს ფერშალი წავიდა და მოახსენა დირექტორს (ეს წინათაც იყო „დროებაში“ და „ობზორში“), რომ ლოლობერიძე ძრიელ შეწუხდა და საავათ-მყოფოში გავგზავნოთო, მაგრამ უარი მიიღო. ეს ფერშალი; სხვა მაყურებლებიც (შაგირდები) როგორ არა ჰგრძნობდნენ ავათ-მყოფის შეწუხებას? მაშ რათ უგზავნიდნენ რამდენჯერმე პატარა ყმაწვილებს დირექტორს?..

შემდეგ გადადის ბ. ზახაროვი „მისაღებ ოთახის (საავათმყოფოს) აღწერაზედ, რომელშიაც ამბობს თითქმის სიტყვა-სიტყვით იმას, რაც „დროებაში“ იყო, გარდა შემდეგისა: „საავათმყოფოს ორი ფანჯარა აქვს, რომელთა შორის ერთი ბაღისაკენ იყურება და მეორეც დერეფნისაკენ და ამ რიგად რად იქნება ოთახის ჰაერი მოწყუდეულიო.“

ოთახს აქვს მარტო ერთი ფანჯარა. მეორე დერეფნის ფანჯარას რომ ათვლის, განცალკევდება თვით საავათმყოფოსაგან ერთი ბნელა ოთახით და ამ რიგათ ეს ფანჯარა იმდენს სინათლეს და წმინდა ჰაერს უგზავნის საავათმყოფოს, რამდენსაც დირექტორის ზემოთა ეტაჟის ფანჯრები.

ლამპის გადმოვარდნაზედ და ცეცხლის გაჩენაზედ ბ. ზახაროვი ამბობს:

„ამას არღვევს ის ფაქტი, რომ ავათმყოფის ტანზედ მეორე დღეს ვერ ჰპოვეს ვერც დაქექილი და ვერც დამწვარი ადგილები და მეორე დღეს მას შეეძლო ამხანაგების შემწეობით ვარეთ გამოსვლაც. მართალია, თუმც ავათმყოფმა შუა-ღამისას ჩამოაგდო უნებურათ ლამპა და როდესაც დაინახა, რომ ქვეშაგები იწვება, ადგა და გაალვიძა თავის ამხანაგი, რომელიც ამტკიცებს, რომ ავათმყოფი კი არ მიფორთხდა (როგორც „დროებაში“ იყო) მასთან, არამედ ფეხზე „მდგომარემ გაალვიძა.“

ამ ამბავს ისე სწერს ბ. ზახაროვი, ვითომც საქმე ამაზედ იყოს დამყარებული. განა სულ ერთი არ არის, მიფორთხდა, თუ მივიდა, თუ ყირამალა გადაიარა?

„5 საათამდინ (13 აპრილს), ამბობს ზახაროვი, ფერშალსა და თვით ლოლობერიძის ნათესავს, რომლებიც იყვნენ ავათმყოფთან, საშიშარი მასში არა შეუმჩნევიათ-რა, თორემ, თუ კი ამ უკანასკნელს (ნათესავს) შეემჩნია რამე, მე მგონია თვითონ მოიყვანდა დოქტორს.“

ზემოთაც მოგახსენეთ, თუ როგორ არა შეამჩნია-რა ფერშალმა; რაიცა შეეხება ნათესავს, ის იყო დილით და უთხრეს, რომ ინსტიტუტის დირექტორი მოვა მალეო, და აბა კიდეც ამ „მალე-მალემ“ ვაათავა საქმე.

„რასაკვირველია, რომ ვისმე, მათ შორის, მეც, ეცნოთ ლოლაბერიძის სატკივარი საშიშარ სატკივრად, მაშინ ყველაზედ უწინ მე მოვახდენდი განკარგულებას, რომ მოეწვივნათ დოქტორიც და კონსილიუმიც (კრება დოქტორთა) შეეკრიბათ.“

დიახ, რასაკვირველია! ვინ არ დაეთანხმება? მაგრამ აბა მოიგონოს, კონსილიუმი შეუკრებია როდისმე, რა კი ტფილისში დაარსდა ჯერ საოსტატო სემინარია და მერე გადაკეთდა ინსტიტუტათ?!

---

ნელოვანის ყვავილითა, როდესაც ქარები არ უქრიან.

**აზნაური** — მჭადს არა სჭამს, მოშივდება ჭირსაც მოსჭამს.

**ათქვლეფა** — ყველას საყვარელი თვისება.

**ათქვირება** — იწყება მაიორობიდგან, სისრულეში შედის გინერლობაში.

**აკვნური** — „ობზორის“ რედაქტორისაგან შემოღებული სიტყვა, აკვნის ყმაწვილების გასართობათ.

**აკვრა** — ფულის აკვრა, თვალების აკვრა სიმარჯვეა.

**აკლება** — თხუთმეტი წელიწადია გადავარდაო.

**ადგილი** — თანამდებობა ჯამაგირიანი.

**ალავერდი** — ერთ-გვარი ბალახი. „აცა, ვირო, ნუ მოკვდები, ალავერდი მოვაო.“

**ალაჭჭვერდი** — თქვენთანა ვარ, იახშიოლ, მითხარით.

**ალალ-მართალი** — სულელი კაცი, ჩვენ დროში სანთლით საძებნელი.

**ალერსი** — ფულისათვის შეიძლება და ფულით იშოვება.

**ალმასი** — ქვის ნატეხია, რომლის ცქერით მრავალს თვალები უდგება, მეტადრე დედა-კაცს.

**ალ-მური** — ასდიოდათ სახეზე ძველ დროს სვინიდისის მხილებით, ახლა კი ჯიბრით.

**ალჩუ** — იმას უჯდება, ვისაც სახეზედ ალმური არ მოსდის.

**ალხი** — ზამთარს შემდეგ ვამხდარი საქონელი, წრეულს კარგი დასახსომებელია.

**ამაგი** — მუხლის წვერზედ გედვას, წამოდეგ და გადააგდე.

**ამაღლება** — გენარლობა, ფულიანობა.

**ამბავი** — ჭორი.

**ამოკვრა** — პანღურისა ანუ პანჩურისა.

**ამპარტავანი** — თვისება კაცისა, არა მხედველი გარნა მუდამ მიმღებელი პანღურისა და პანჩურისა თვით თავისაგანვე.

**ამპიწი** — პანღურის ამოკვრა სხვისაგან.

**ამტუტება** — აშლაშება საჭმლისა ანუ ხალხისა.

**ანჯამანი** — ცხადი — საანჯამნო ქება ყველას უყვარს, საანჯეო ძრახვისა ადრე ეშინოდათ, ახლა აღარაფრად ერიდებათ მძრახველების გახშირებისგამოთ.

**აპრილი** — თვის სახელი. პირველი ერთ კაცს ერქვა, რომელსაც დღეში 24 საათი გადადებული ჰქონდა ტყუილის ლაპარაკისათვის. საკვირველი ის იყო მსმენელმაც და მოლაპარაკემაც იცოდა ლაპარაკის სიცრუე. ახლა ჩვენში ძალიან გახშირდა ეს ღირსება და პირველ აპრილს მრავალი მიმბაძველი ჰყავს.

**აპრუწვა** — იმერლის უბედურებაა.

**არაკი** — ერთად-ერთი ნამდვილთაგან უნამდვილესი ამბავი, რომლის ჭეშმარიტებაზე მსმენელი დარწმუნებულია. რაც არაკი არ არის ყოველთვის საეჭვოა.

**არამზადა** — ყოველგან პატივცემული და პატივსაცემი კაცი.

**არაფერი** — ქონება ქართველის კაცისა.

**არ დადეგი** — მაშინა დგება, როდესაც სოფლის ხალხი სოფელში აღარ დგება და მინდორში გადის, ქალაქის სამსახურის კაცი ქალაქებში ველარა დგება და სოფლად გადის; ველარავინ თავის ადგილს ვერ დამდგარა — ამიტომ ჰქვიან ამისთანა დროს არ დადეგიო.

**არფა** — უსაქმო კაცებისთვის გაჩენილი ქალალდი, რომ ცუდათ ჯდომას, ცუდათ შრომას შეაჩვიოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ რიგათ, როდესაც „აღადგინა სიმართლე“ ბ. ზახაროვმა, მოჰფინა ნათელი ამ ბნელ სამწუხარო ფაქტს და გამოვიდა უმანკო, ხელ-დაბანილი, ათავებს თავის „სიმართლის აღმადგენელს“ პასუხს შემდეგი სიტყვებით:

„მიიღოს კაცმა თავის-თავზედ ამ ნაირი უსაფუძვლო ბრალდებულება — ერთობ ძნელია; ვის შეუძლიან თქვას დარწმუნებით, თუ რა ხდებოდა იმ დროს ჩემს გულში. მე არ მინდა გაუგრძელო საუბარი იმ სტატიის ავტორს; ვიტყვი მხოლოდ, რომ არც იმისთანა სასტიკი კილოთი, არც იმ აზრით მე არ მილაპარაკნია შაგირდთან, რომელიც მოვიდა, ჩემთან მარტო ერთხელ, არ გამიგდია ის, და არც ჩემს ავათმყოფობაზედ მითქვამს რამე.“

ზახაროვის სიტყვების „სიმართლის“ დასამტკიცებლად ერთსაც აი როგორ ფაქტს მოვიყვან: დოლობერიძის სიკვდილის მეორე დღეს, ჯერ მანამ გაზეთებში ეწერებოდა რამე, შედის ერთი შაგირდი დირექტორთან და ეთხოვება აღდგომის დღესასწაულებზედ სახლში და საბუთადაც წარუდგენს დედის ავათმყოფობას. რა გგონიათ, რა პასუხი მიიღო? — „რაა? დედა მოგიკვდა? მამაც? არა, არ შეიძლება! შენც მოკვდი დოლაბერიძესავით და ისე წადი შინ!“

აი, ბატონებო ესეც სიმართლის აღდგენა!

## ახალი ამბები

—

ბუშინწინ, ხუთშაბათ საღამოს, ერთი შესაძრწუნებელი უბედურება მოხდა ჩვენს ქალაქში: საღამოს მეხუთე საათზე ერთი ახალგაზდა, სუფთად ჩაცმული ქალი მიდიოდა კუკიის ხიდზე; რამდენიმე ნაბიჯი რო გაიარა მიიხედ-მოიხედა, ხო არავინ მიყურებსო, უეცრად გადაახტა მოაჯირს და გადავარდა. ქალი, როგორც მნახველებმა გვიამბეს, ჯერ ხიდის ბურჯს დაეცა თურმე თავით და მერე იქიდამ ამ ახლანდელ ადიდებულის მტკვრის ზვირთებში ჩავარდა. პოლიციის სალდათი, რომელიც რამდენიმე ნაბიჯზე იდგა იმ ადგილიდამ, და ხალხი იმ წამსვე მოცვივდნენ, მაგრამ გვიან-ღა იყო: ქალი ერთხელ კი ამოაგდო წყალმა და მერე ჩაძირა. კაცი არავინ გამოჩენილა, რომ ეცადნა იმის ამოყვანა და დახსნა..

ეს უბედური ქალი, როგორც ამბობენ, იყო თ. გიორგი ამილახვრის ქალი — ეკატერინე, რომელიც თავის დასთან კოშკოს ცოლთან იდგა.

მიზეზი თავის მკვლელობისა, ისმის, სიყვარული ყოფილა; ერთი ვიღაც აფიცერი პეტროვი უყვარდაო, რომლის სახელობაზედაც წერილი დაუგდიაო, რომ „მე დღესვე განგათავისუფლებთ თქვენის ტანჯვისაგანაო“...

ჩვენ გვახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინეთ ერთი დიდი ამბითა და ცერემონიით აკურთხეს და სწორედ ამ კუკიის ხიდთან ჩაუშვეს, წყალში ჩავარდნილებისათვის საშველი ნავი და რაღაც რგოლიც მიაკრეს თვითონ ხიდზე. მას აქეთ ამ ნავზე და რგოლზე არა გაგვიგონია-რა; მხოლოთ ეს კი ვიცით, რომ იმ საშველ ნავსა და რგოლს არც ერთის კაცისათვის არ უშველია, არც ერთი არ დაუხსნია მტკვარში დაღრჩობისაგან...

* * *

ამ თვის 24-ს მიღებულის ოფიციალურის ცნობებიდამ სჩანს, რომ ელისავეტპოლის გუბერნიაში, სხვათა შორის, მდ. მტკვრის რამდენსამე ადგილას და აგრეთვე პატარა კავკასიის მთების ფერდებზე გამოჩეკილა კალია; ზეთქაიდამ იწერებიან, რომ მუღანისა და მილის მინდვრებში აგრეთვე დიდ-ძალი კალია გამოჩენილა.

თფილისის გუბერნიის შემდეგ ადგილებში გამოჩნდა ჯერ-ჯერობით კალია: თვითონ თფილისის გარშემო ვერასა და მუშტაიდისაკენ; ყარაიაზში, გლდანში, ავჭალაში, კოდში, თელეთში და სხვ. სოღანლუღის და ილლიუჯის სტანციებთან: სიღნაღის მაზრაში — იორზე და ელდარზე; შულავერის მაზრაში — ხრამისა და ალგეთისაკენ; გორის მაზრაში — მტკვრისა და ქსნის ნაპირა ზოგიერთს სოფლებში; აგრეთვე ქსნის ნაპირა დუშეთის მაზრაში.

ჩვენი ოფიციალური გაზეთი „კავკაზი“ გვარწმუნებს, რომ ადმინისტრაცია ყველგან ენერგიულად მოქმედებს, ბლომათ არის ხალხი გამოყვანილიო და ბევრი თესლი და გამოჩეკილი კალიაც იჟლიტებაო. გორის მაზრაში განსაკუთრებით ღორებმა დიდი შემწეობა მისცა ხალხსაო, რადგან ძალიან სჭამენ კალიის კვერცხსაო და სხვ.

* * *

რუსულ გაზეთს „გოლოსში“, სხვათა შორის, შემდეგ ამბავს იწერებიან ბათუმიდამ:

„ანატოლიიდამ საშინელი ამბები მოდის შიმშილობის თაობაზედ. რამდენსამე ალაგას ამ შიმშილისაგან სხვა-და სხვა ავათმყოფობა გაჩენილა და ბევრი ხალხი იხოცებაო. გაშმაგებულმა ხალხმა ქურდობას, ავაზაკობას და ცარცვას მიჰყო ხელიო.

„განსაკუთრებით ცუდს მდგომარეობაში არიან თურმე ბათუმის მაზრიდამ იქ, მცირე აზიაში, გადასახლებული მაჰმადიან-ქართველები: არც სადგომი ბინა, არც საჭმელ-სასმელი, არც არავინ პატრონი. იმათ იგრძნეს ახლა თავიანთი შეცდომა და ჩვენს მთავრობას სთხოვენ უკან დაბრუნებისა და ისევ თავის ქვეყანაში დასახლების ნება-რთვას; მაგრამ ალი-ფაშა თავდგირიძე და სტამბოლიდამ გამოგზავნილი მეჰმედ-ბეი და სხვა აგენტები ურჩევენ, უქადაგებენ ხალხს, რომ აღარ დაბრუნდნენ ბათუმის მაზრაში.“

ძალიან კარგი იქნება, ამ გაჭირებით ისარგებლებდეს ჩვენი მმართებლობა და გამოაცხადებდეს, რომ ვინც დაბრუნდება, თავიანთი მიწა-წყალი და სხვა ყველაფერი, რაც დაუტოვებია, ისევ უკანვე დაუბრუნდება, ჩაბარდება.

* * *

ყურადღებას მივაქცევთ ჩვენის ქალაქის გამგეობისას:

დიდი ნაწილი რიყისა, სადაც მალაკნები დგანან და ახლა წყალმა წაიღო, მალაკნებს ადრე მთავრობისაგან დანიშნული ადგილი ჰქონიათ შენობისათვის. დანარჩენი ადგილი თავისუფალი იყო და ეკუთვნოდა ქალაქსა. ამ ოთხი-ხუთიოდ წლის წინ ეს ადგილები სულ ცარიელი იყო და ზოგი ერთი წელიწადიც არ იქნება, რომ ფიცრულები შემოავლეს.

ახლა წყალმა წალეკა ეს დაჭერილი ადგილები, რომელიც უფრო ქალაქის ვაჭრებს ჩაუგდიათ ქალაქმა ყურადღება უნდა მიაქციოს და მოსთხოვოს ახლად ფიცრულების გაკეთებისა და ყველას საბუთები, დოკუმენტები მოსთხოვოს ადგილის მფლობელობისა და არ მისცეს უფლება, როგორც დანდუროვისთვის მიუცია (მუხრანიანთ ხიდთან) გამოღმა რიყეზე, ქალაქის დაყრილ მიწაზე, დამწვარ სახლების ნაცვლად ახალი შენობის დადგმისა.

* * *

საკვირველია, რომ საზოგადოთ ჩვენი ქალაქის გამგეობა სრულებით ყურადღებას არ აქცევს ქალაქის დაჭერილ მიწებსა. ქალაქი ახლა უადგილოა და საბაზრო ადგილი ვერსად ვერ უპოვნია, როდესაც რომ რიყე ქალაქისაა: გაღმა, კუკიის ხიდს ზემოთ ვარანცოვის დროს ნაპირები ვორონცოვის ნაბერეჟნიდამ წყლამდინ, ხიდიდამ ზემო აყოლებაზე ნასყიდია და სახლის პატრონებს, ამბობენ, ფულები მიუღიათო. საჭიროა გაჩხრეკა სტროიტელნი ოტდელენიისა გუბერსკი პრავლენიაში და სხვაგანაც.

ამას გარდა მალაკნებთან ნახევარი რიყე შენობით სავსეა, როდესაც რომ მალაკნებს გარდა ქალაქელებს არ მისცემიათ. გამოღმა მუხრანიანთ ხიდიდამ ანჩისხატამდის ვეება მინდორი, რომელიც ქალაქს მიწის დაყრით გაუკეთებია და წინათ საქალაქო რიყე

---

**არითმეტიკა** — სწავლა ანგარიშის კანონისა. ქართველმა აქამდის ამ სწავლისაგან ორი კანონი იცის: გამოკლება ანუ გამორიცხვა და განყოფა. შეკრება და გამრავლება საჭიროდ არ მიაჩნია.

**არტალა** — სანამ თავად-აზნაურობის კენჭი შემოდგომას ან ზამთარში იყო, მარშლების ამორჩევის საქმეს არტალა გადასწყვეტდა ხოლმე.

**არშიყი** — როს არშიყის ხილვას ეშურებოდე, ჯიბეში ფული გქონდეს.

**არწივი** — ორბი, არის ერთ-თავა და ორ-თავა, პირველი ფრინავს, მეორე ქაღალდზე ზის.

**ასო-მთავრული** — ხუცურ ანბანში იყო და ახლა მხედრულშიაც შემოიღეს, რომ მკითხველს გონება აურიონ. ამ ასოებით დაწერილი პ ო ლ ი ტ ი კ ა გამოდის პოლიტიპა ან კოლიტიკა: კ ა პ ი — პაპი ან კაკი; ბ ა გ ა გამოდის ბაბა ან გაგა, და დონი აგერ ყირმალა გადმოვარდება.

**ასპიტი** — ბევრი ქმარი თავის ცოლს ამ სახელს უწოდებს.

**ასიგნაცია** — საკვირველი ხელოვნების ნაწარმოები ქაღალდია; ვინც ხელოვნება იცის, გროშიან ქაღალდს ისე დახატავს თუ უნდა მანეთად გავა, თუ უნდა ას მანეთად. აკაკი განმარტებს: „ასე“ (სომხურად-ვთქვი) და „გნაცი“ (სომხურად-წადი).

**ატირება** — გასართობი საქმე.

**ატლასი** — ქსელი ცოდვილი გვამის ბრწყინვალედ შესამოსი.

**აურ-ზაური** — სისხლის დასაშვიდებელი ლონე.

**აფერუმ** — რომ უთხრა, ზოგი თავს შეგაჯდება და ზოგი ფეხს მოგხვევა.

**აქიმი** — კაცი ხელოვნების მცოდნე ჯანმთელის დასნეულობისა, სნეულის მოკვდინებისა, მკვდრის გაჭრისა, დაჭრილის დაშლისა.

**აქტიორი** — ჩვენში ახალი მოდათ ჩამოვარდნილ კაცი.

**აღება** — არ მიცემა.

**აღებ-მიცემა** — ხელობაა, ამღებიც აძლევს რასმე და მიმცემიცა; ორნივე ერთმანერთის ტყუებას ცდილობენ.

**აღზრდა** — ჩვენში გამოუსადეგარი რამ არის და ამიტომ არვის არ ეჭირდება.

**აღკრძალვა** — როდესაც უნდათ, რომ დიდი ყურადღება მიაქციონ რასმე, აღკრძალვენ და თუნდ სულ ურგებელი და უქნელიც იყოს, დიდ სანატრელად შეიქნება ყოველთათვის.

**აღმართი** — საფრთხე რამეა, იქ მავალს მალე ფეხი უცურდება.

**აღმოჩევა** — საკუთრად იმერელებისთვის გაჩენილი ჭირი მუცელაზედ უარესი.

**აღთქმა** — ისეთი გამოსაცდელი მოგონებაა, რომ უეჭველად კაცმა გასტეხოს.

**აშგერება** — გულისა, — ქალებსა ჰკითხეთ.

**ახლოობა** — ორთა ქართველთა მიიყვანს შეტაკებამდე.

**ახალი** — იმასა ჰქვიან, ვინც ანუ რაიცა თავის თავს ახალს უწოდებს.

**ახალი თაობა** — აკვნის ყმაწვილობა.

**აჭა** — გეყოს.

(დანარჩენი სხვებისთვის მიანდერძებია)

ანჩისატელი.

იყო, ახლა დანდუროვს დაუჭერია. მოლნინის მეიდანზე არღუთინსკის ბალკონს ქვეშ ქუჩის მიწაზე დუქნები გაუკეთებია, ქირა ვისია, მუხრანსკის დიდ ბალის პირ-და-პირ პოდიეზდი გაუკეთებია, ერიცოვს ანჩისხატის გვერდით ქუჩა წყალზე ჩასასვლელი შეუკრავს, თათრის მეიდანზე ბებუთოვს ძველი ქალაქის წყარო დაუქცევია და დუქნები აუშენებია.

ამაებს ყველა მოსწრებია და ყველამ იციან. როდემდის ესე უნდა დარჩეს?!.

* * *

ბატ. ილია ჭყონია ითხოვს დავბეჭდოთ გაზეთში შემდეგი წერილი: „თქვენი გაზეთის № 78 მოყვანილი იყო შინაარსი „სამწერლო თაიგულისა,“ რომელშიაც სხვათა შორის მოხსენებული იყო „ვისია“ პოემა-ლექსი თ. მ. ბურიელისა. ეს პოემა-ლექსი ამ წიგნში ვ ე ღ ა რ დაიბეჭდება, რადგანაც ავტორმა დროზედ ვერ გადმომცა მისი დასასრული (პირველი ნაწილი წინად მქონდა მილებული). მის მაგიერ დაიბეჭდება აკაკის ლექსი.“

* * *

ხვალ, ოთხშაბათს, თფილისის ქალაქის რჩევაში დანიშნულია განსახილველად სხვათა შორის შემდეგი საგნები:

ქალაქის შემოსავალ-გასავლის განხილვა.

მოხსენება გამგეობისა პუკიაში სავაჭრო მაღნის დაარსებაზე.

ბირჟის იზვოსჩიკების თხოვნა, რომ ქალაქის რჩევამ იზვოსჩიკების ტაქცია მოსპოს.

მოხსენება გამგეობისა ქალაქის ქუჩების განათების იჯარით გაცემაზედ და სხვ.

---

„დროების“ № 87 მეოთხე გვერდზე, მეორე სვეტის მეოცდა-ოთხე სტრიქონში დაბეჭდილია. ..... „უეჭველი მხოლოდ ის არის რომ გრაფი შამბორი“... უნდა იყოს: „უეჭველი მხოლოდ ის არის რომ გრაფი პ ა რ ი ჟ ე ლ ი“...

---

# განცხადებანი

მთავარი კანტორა

სავაჭრო სახლის

## იაგორ კასუმოვი და ამხ.

უცხადებს საზოგადოებას, რომ ვისაც ჰსურს იყიდოს პირველი და მეორე შინაგანი სესხის მოგებიანი ბილეთები, შეუძლიან მიმართოს ამ კანტორაში, სადაც ეს ბილეთები ისყიდება ძალიან კარგის პირობებით, მთელის წლის განმავალობაში ნაწილ-ნაწილად ფულის შემოტანით.

კანტორა თვითონაც ჰყიდულობს აგრეთვე ზემოხსენებულ შინაგან სესხის მოგებიან ბილეთებს.

უფრო დაწვრილებითი პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან სავაჭრო სახლის კანტორაში, ბალის პირ-და-პირ, თუმანოვის სახლებში.

(10—1)

---

თფ. გუბ. თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო

## ბანკისაგან

ზედამხედველი კომიტეტი თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა, ბანკის წესდების § 83 ძალითა, სთხოვს უფალთ დამწესებელთა ამა ბანკისა, რომ მობრძანდნენ ჩვეულებრივ კრებაში ოცდა-ათს (30) აპრილს, 10 საათზე დილით, იმ სახლში, სადაც ეხლა ბანკია.

საგნები განხილვისა

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა 1879 წლისა.

2) დანიშნვა იმ ფულებისა, რომელიც ბანკის სარგებლობიდგან არის გადადებული საზოგადო საჭიროებისათვის.

3) აღმორჩევა ერთის წევრისა ბანკის მმართველობის რიგით თავადის დ. ი. ავალოვის მაგიერათ.

(7—5)

---



მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული წამალი ნაოფლარისა, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,



## გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფ ა რ მ ა ც ი ი ს მ ა გ ი ს ტ რ ი ს გ. კარპინსკის აფთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

გ. კარპინსკი.

(25—6)

---

კვირაცხოვლისა და შემდეგის კვირის განმავალობაში·

## ინგლისის მაღაზიაში

20% უფრო იაფად

გაისყიდება სხვა-და-სხვა ინგლისის საქონელი.

(10—1)

---

ვისაც საშენი ტყის მასალა ჰსურს, 3—4 წლის დახერხილი ფიჭვის ფირები, შეუძლიან მომართონ ვალერიან ჩეხოტს, არსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

ვინც ახლავე შეუკვეთს ფიცრებს, იმათი მოთხოვნილება ყველაზე უმალ იქნება დაკმაყოფილებული. აქვე ისყიდება გერცკალები და კოჭების გარდასატანი იარაღები.

(3—3)

(კვ., ოთხ. და შაბ.)

---

გამოვიდა და ისყიდება

## უმანკო პატარძალი

კომედია ალალო თუთაევისა.

თფილისში—ვართანოვის, ბრიკუროვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და იაგორ ფირალოვის ჭურჭლეულის მაღაზიაში. ბ ა თ უ მ შ ი—სტ. დავიდოვთან; ფ ო თ შ ი—ნიკ. ჯიჯიხიასთან; ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი—იორდანე სიხარულიძესთან; ქ უ თ ა ი ს შ ი—იოსებ მ. მურადოვის წიგნის მაღაზიაში; გ ო რ შ ი—ზაქარია დონდაროვთან; თ ე ლ ა ვ შ ი—მასწ. ქრისტეფორე ზარაფოვთან; ს ი ღ ნ ა ღ შ ი—მელქო შლამოვის მაღაზიაში და ც ხ ი ნ ვ ა ლ შ ი—სუდის პრისტ. იოსებ ციციანოვთან; ალექსანდრაპოლს ალექსანდრე ტერ-აკოფოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე ავტორის კომედიები: „ცოლი ვიტირო თუ ფული?“ და „მული რძალი და მაშენიკები“

(10—5)

---

იყიდება არწრუნის ქარვასლაში ი ნ გ ლ ი ს ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი: პალტო 12 მანეთიდამ 24-მდინ, მთელი წყვილი ტანისამოსი 5-დამ 25-მდინ; ტრიკო, ბუმაზეია და პარუსინა ახლა 75 კაპ. არშინა და დრაპი 2 მანეთიდამ; პოდნოსები, გასალებები 10 კაპ., წყლის დასაწმენდი ქვები 4—40 მან., თოფები უკანიდამ გასატენი 35 მანეთი და მეტი; ჩულქები და წინდები 8 მან., უნაგირები—25 მანეთი და მეტი, 25,000 გირვანქა ჩაი პირ-და-პირ კიახტიდამ 1 მან. და 10 კაპ. და საუკეთესო 2 მან. გირვანქა, დიდძალი კრავატები 5 მანეთიდამ 75 მანეთამდინ; საუკეთესო ხერესი 1 მან. 40 კაპ., შამპანის ღვინო—3 მან. ბოთლი და სხვ.

(25—19)

---

ახლანდელ დიდს

## გამოფენის

დროს,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსახურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; შროთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყილიბუდეებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალლისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწუხრგალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(40—9)

---

პატენტიანი პროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ დუჟინი; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—5)

---

მაქვს პატივი ვაცნობო თფილისის პატივ-ცემულ საზოგადოებას, რომ სარქის განჯელოვის ღვინის სარდაფში, ერევნის მეიდანზე თ. არღუთინსკის სახლებში, თამამშევის ქარვასლის პირ-და-პირ, ისყიდება ნაკლებ ფასათ ნამდვილი კახური ღვინო თავის საკუთარ მამულისაგან.

ფასი თითო ბოთლისა სამი შაურიდამ ვიდრე მანეთამდინ.

სარქის განჯელოვი.

6—5)

---

ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და შავერდოვის ბიუროში ისყიდება ახალი ქართული წიგნი:

როგორ აიდგა ფეხი

ქართულმა თეატრმა

გ. თუმანიშვილისა

ფასი ერთი შაური.

იქვე ისყიდება იმავე ავტორის წიგნი: „ქართული თეატრის საქმე“

ფასი 15 კაპ.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ 26 Апрѣля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი